საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 154

06 11 2015 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 ნოემბრის სხდომის N17 ოქმის მე-18 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 6 ნოემბრის N03/4661 წერილით შემოსული დოკუმენტაციის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-19 მუხლის ,,დ“ პუნქტის, 24-ე მუხლის ,,დ.გ.“ პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ა“ პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

1. დამტკიცდეს თანდართული დოკუმენტაციის სახით წარმოდგენილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელსა (მერაბ თოფჩიშვილი) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) შორის 2015 წლის 12 მაისს ხელმოწერილი, ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების პროექტის მხარდაჭერისა და განხორციელების ხელშეკრულება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

ნაბი აბდულაევი

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

383130 ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73 ☎ 22 53 07 // 22 26 26 RUSTAVELI str MARNEULI